განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2018 წლის 6-7 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი
16.08.2018

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211325653 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ვეტერინარიის მაგისტრი 0102 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 307 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თომას ჯეიმს ანდერსონი, BVMS, MVM, PhD, DSAO, DECVN, PFHEA, MRCVS<br>გლაზგოს უნივერსიტეტი, შოტლანდია |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მარინე რამიშვილი, ექიმი ვეტერინარი, სამედიცინო ვეტერინარიის დოქტორი დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ლუგარის ცენტრი, თბილისი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ჩიტაშვილი<br>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრანტი |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ანგარიში ეხება საკრედიტაციოდ წარმოდგენილ 307 კრედიტიან პროგრამას, რომელიც ვეტერინარიის ბაკალავრიატის შესახებ საკანონმდებლო ცვლილების საპასუხოდ შეიქმნა. ეს არის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ სწავლა განაგრძონ სადოქტორო საფეხურზე. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის საჭირო კურსებს.

მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა, უცხოელი და ქართველი სტუდენტებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ევივალენტური განათლება, დასაშვებია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში.

პროგრამა მოიცავს 80 სასწავლო კურსს, რომელთა მიწოდება ათი სემესტრის განმავლობაში ხდება (საერთო საუნივერსიტეტო განათლების კრედიტების 25% და ვეტერინარული სპეციალობის 75%). პროგრამაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მოწვეულ ლექტორებს და გარე სააგენტოებთან ოფიციალურ კავშირს, რაც დადებითად მოქმედებს სტუდენტების ვეტერინარული პროფესიის დაუფლების შესაძლებლობებზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

გუნდი შედგებოდა 3 წევრისგან (პროფესორი თ.ჯ. ანდერსონი - თავმჯდომარე და საერთაშორისო ექსპერტი, დოქტორი მარინე რამიშვილი - ექსპერტი, საქართველოს ვეტერინართა წარმომადგენელი, ბ-ნი გიორგი ჭიტაშვილი - ექსპერტი, წარმოადგენდა სტუდენტებს).
აკრედიტაციის ვიზიტი გაგრძელდა 2 დღე (2018 წლის 6-7 ივნისი) და მიმდინარეობდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კახა ბენდუქიძის სახელობის უნივერსიტეტის კამპუსში. ვიზიტის დროს განხორციელდა 8 ინტერვიუ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, ტური უნივერსიტეტის ტერიტორიაზე (სასწავლო ფართი, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, ლაბორატორიები, კლინიკური დაწესებულებები) და უნივერსიტეტის გარეთ მდებარე ცხოველთა სასაკლაოზე, სადაც სწავლების გარკვეული ნაწილი ტარდება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა საერთო ჯამში:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**1.1პროგრამის მიზნები:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი:** შესაბამისობაშია მოთხვნებთან

**2.3 სასწავლო კურსი:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**2.6 სტუდენტების შეფასება:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა:** შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა:** შესაბამისია მოთხოვნებთან

**4.1 ადამიანური რესურსები:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**4.3 მატერიალური რესურსები:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**5.1შიდა ხარისხის შეფასება:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**5.2გარე ხარისხის შეფასება:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**5.3პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- რეკომენდაციები

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა საერთო ჯამში: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1პროგრამის მიზნები: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- პროგრამის მიზნები უნდა იყოს დაწერილი ისეთი ენით, რომელიც უზრუნველყოფს ამ მიზნების მკაფიო, დაკვირვებად და გაზომვად შეფასებას და ნათლად დაუკავშირებს მათ შეფასების შედეგებს.
- პროგრამა საჭიროებს პროგრამის საფეხურის შეფასების გეგმას, რომელიც ასახავს თუ როგორაა პროგრამის საფეხურის მიზნები კურსის შეფასების შედეგებით აღწერილი.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- პროგრამის და სასწავლო კურსის შედეგების დასაწერად გამოყენებული ენა უნდა ასახავდეს სწავლის შედეგების ცოდნას, ქცევით და ემოციურ მხარეებს, როგორც ეს არის აღწერილი ბლუმის ტაქსონომიაში, ისე, რომ პროგრამის შედეგები იყოს გამჭვირვალე, დაკვირვებადი და გაზომვადი.
- პროგრამის განვითარების პროცესში აუცილებელია კურსის და პროგრამის შედეგების სწორი შედგენა, ისე, რომ კურიკულუმის რუქა, იძლეოდეს კურსის შინაარსის მართვის საშუალებას, შედეგებსა და შეფასებას შორის გამჭვირვალე ურთიერთკავშირით.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- კურსის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შედეგებს.
- კურსის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს შეფასების მეთოდებს.

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- კურსის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს შეფასების მეთოდებს

2.6 სტუდენტების შეფასება: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- კურსის დოკუმენტაცია სრულად უნდა აღწერდეს კომპეტენციის ქცევითი და ემოციური მხარეების გადაცემას და შეფასებას.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა საერთო ჯამში: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1პროგრამის მიზნები: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ფაკულტეტის პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი პროგრამის მიზნების წერაში, კურიკულუმის რუქის შედგენაში და მათ შეფასებასთან კონსტრუქციულ შესაბამისობაში მოყვანაში.

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- ფაკულტეტის პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი პროგრამის სწავლის შედეგებისა და კურიკულუმის რუკის წერაში.

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი: შესაბამისობაშია მოთხვნებთან**

- პროგრამა შედგება საკმაო რაოდენობის მცირე კურსებისაგან (2-5 ECTS), რომელთაგანაც ზევრი ერთი და იგივე ან ანალოგიურ საგანს ეხება. იმდენად რამდენადაც, ყოველი კურსი ქმნის ადმინისტრაციული და შეფასების საქმიანობის ჯგუფს, პროგრამის შექმნის ამგვარი მიდგომა ძალიან მომთხოვნია სტუდენტების, აკადემიკოსების და ადმინისტრატორების მიმართ. ფაკულტეტმა უნდა განიხილოს კურსების შერწყმის საკითხი, სადაც ეს შეთავსებადი იქნება პროგრამის შედეგებთან, როგორც ადმინისტრაციული ეფექტურობის გაზრდისა და სტუდენტების და თანამშრომლების სხვა საქმიანობებისათვის დროის გამოთავისუფლების სტრატეგია.

**2.3 სასწავლო კურსი: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- კურიკულუმის რუქა უნდა გაფართოვდეს, რათა მოიცვას სასწავლო კურსის სწავლის შედეგები.

**2.6 სტუდენტების შეფასება: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- პრაქტიკული უნარ-ჩვევები ფასდება უწყვეტი შეფასების პრინციპით. არ არსებობს კურსის განმავლობაში მიღებული უნარ-ჩვევების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება.
- ყოველი კურსის ბოლოს (სემესტრი) ყოვლისმომცველი პრაქტიკული შეფასება უნდა ჩაითვალოს, პროგრამის ფარგლებში საერთო უნარების განვითარების საზომ მეთოდად. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) შეიძლება ზევრი სასწავლო კურსისათვის ჩაითვალოს შეფასების შესაფერის ინსტრუმენტად, რადგან ამგვარი მიდგომა კარგად არის დამტკიცებული და საერთაშორისოდ აღიარებულია.

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა: შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

სპეციალური კომიტეტის ქულების მინიჭების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია უნდა იყოს უფრო გასაგები, ქულების მინიჭების უფრო დეტალური აღწერით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**2.3 სასწავლო კურსი:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმისაწვდომობა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი მასალების სპექტრი

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ფართო სპექტრის ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმება, მათ შორის სამთავრობო სააგენტოებთან და ვეტერინარულ ფირმებთან, მნიშვნელოვნად გაზრდის ამ ახალი პროგრამის კურსდამთავრებულთა სწავლებისა და დასაქმების შესაძლებლობებს

**2.6 სტუდენტების შეფასება:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ონლაინ შეფასების უზრუნველყოფა და შეფასების ცენტრი.

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა:** შესაბამისია მოთხოვნებთან

**4.1 ადამიანური რესურსები:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ფართო სპექტრის ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმება, მათ შორის სამთავრობო სააგენტოებთან და ვეტერინარულ ფირმებთან, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწავლებას.

**4.3 მატერიალური რესურსები:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მნიშვნელოვანი ინვესტიცია თანამედროვე ლიტერატურის ქართულად თარგმანში (დღემდე $42,000)

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ შეესაბამება

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>• პროგრამის მიზნები შედგენილია ვეტერინარიის სექტორის უმაღლესი განათლების მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც შემუშავდა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ და განსაზღვრავენ საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.<br>• თუმცა, პროგრამის მიზნები არ არის დაწერილი ისეთ ენაზე, რომელიც ხელს უწყობს მათ დაკვირვებას და გაზომვას, მაშასადამე, მათი შეფასების შედეგებთან მჭიდროდ დაკავშირება შეუძლებელია.<br>• პროგრამის განვითარების დროს, ფაკულტეტის ხშირად ატარებდა კონსულტაციებს სტუდენტებთან და ვეტერინარული სექტორის გარე დაინტერესებულ მხარეებთან. პროგრამა ეფექტური გუნდური მუშაობის შედეგია და პროგრამის მიზნები ფართოდაა გათავისებული.<br>• მიზნები და წინასწარი მოთხოვნები საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისგან ხელმისაწვდომია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>o თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი პროგრამის და სასწავლო კურსის შედეგების შედგენა არ მომხდარა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებით ხელმძღვანელობის საფუძველზე.<br>o პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებამ მიანიშნა, რომ ყველა ძალისხმევა იყო მიმართული, იმისაკენ, რომ სექტორის კრიტერიუმები ახალ პროგრამას დამთხვეოდა, უზრუნველყოფილიყო მინიმალური გადაცდომა და არცერთი ხარვეზი. თუმცა, კურიკულუმის რუქა არ შექმნილა, რათა სასწავლო კურსის სილაბუსების შედეგები პროგრამის შედეგებთან დაეკავშირებინა. |

**რეკომენდაციები:**

- o პროგრამის მიზნები უნდა იყოს ნათლად აღწერილი, რათა მათი დაკვირვება და გაზომვა შესაძლებელი იყოს
- o პროგრამა მოითხოვს პროგრამის საფეხურის შეფასების გეგმას, რომელიც ასახავს, თუ როგორ უკავშირდება პროგრამის მიზნები სწავლის შედეგებს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- o ფაკულტეტის პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი პროგრამის მიზნების წერაში, კურიკულუმის რუკის შედგენასა და შეფასებასთან კონსტრუქციულ შესაბამისობაში მოყვანაზე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- o არა

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- o არ შეესაბამება

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის და კურსის შედეგები მიმართულია პროფესიონალი ვეტერინარებისათვის საჭირო, ვეტერინარიის დარგის უმაღლესი განათლების კრიტერიუმების შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მისაღწევად, გარდა

| |
|---|
| ამისა, მნიშვნელოვანი კონსულტაციები გაიმართა ვეტერინარული სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან ვეტერინარული ფირმების და სამთავრობო სააგენტოების საჭიროებების გასაგაბად. ამასთანავე, ჩატარდა მნიშვნელოვანი შიდა კონსულტაციები პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგები არ არის აღწერილი ისეთი ენით, რომელიც ხელს უწყობს მათ მკაფიო დაკვირვებას და გაზომვას.<br>• ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ განცხადება შეიტანონ სადოქტორო პროგრამებზე.<br>• ეს არის ახალი პროგრამა და მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურა მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვების და გაანალიზების ციკლის შესაძლებლობას იძლევა, მისი ამ პროგრამისათვის გამოცდა ჯერ კიდევ საჭიროა.<br>• ამ პროგრამის შედეგები გამოსადეგი იქნება ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, თუმცა მათი გამოცდა ჯერ კიდევ საჭიროა.<br>• შეფასების სისტემაში არსებული სხვადასხვა შეფასებები სექტორის კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად საჭირო შედეგებს ეხება თუმცა, კრიტერიუმები დადგენილია უფრო მეტად სასწავლო კურსის და არა პროგრამის შედეგების დონეზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების ანგარიში, კურიკულუმის რუქა და ინტერვიუები ადასტურებენ, რომ შემდგომი მუშაობაა საჭირო პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგების შემუშავებაზე, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შეფასებასთან კონსტრუქციული შესაბამისობა და ამგვარად, პროგრამის შედეგების მიღწევადობაში დარწმუნება.<br>• უნივერსიტეტის პერსონალთან (შიდა და გარე) და სტუდენტებთან ინტერვიუებმა დაადასტურა მათი გათვითცნობიერებულობა კურსების და პროგრამის შედეგებში. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• პროგრამის და სასწავლო კურსის შედეგების დასაწერად გამოყენებული ენა უნდა ასახავდეს სწავლის შედეგების ცოდნას, ქცევით და ემოციურ მხარეებს, როგორც ეს არის აღწერილი ბლუმის ტაქსონომიაში, ისე, რომ პროგრამის შედეგები იყოს გამჭვირვალე, დაკვირვებადი და გაზომვადი.<br>• პროგრამის განვითარების პროცესში აუცილებელია კურსის და პროგრამის შედეგების სწორი შედგენა, ისე, რომ კურიკულუმის რუქა, იძლეოდეს კურსის შინაარსის მართვის საშუალებას, შედეგებსა და შეფასებას შორის გამჭვირვალე ურთიერთკავშირით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>იხილე 1.1 |

| |
|---|
| • ფაკულტეტის პერსონალმა უნდა გაიაროს ტრენინგი პროგრამის მიზნების წერაში, კურიკულუმის რუკის შედგენაში და მათი შეფასებასთან კონსტრუქციულ შესაბამისობაში მოყვანაზე. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>არა |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>არ ეხება |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

## 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- უნივერსიტეტი აღიარებს საკუთარ, როგორც ერთადერთი ინსტიტუტის, პასუხისმგებლობას, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას, ვეტერინარული პროფესიის წარმომადგენლების აღიარებას და სადოქტორო პროგრამის ხელმისაწვდომობას.
- პროგრამაზე მიღების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისია არსებულ კანონმდებლობასთან
- პროგრამაზე მიღების წინაპირობები არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ლიდერებთან

**რეკომენდაციები:**

არც ერთი

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არც ერთი

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

არც ერთი

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

არ ეხება

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| --- |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>• პროგრამა მასშტაბური კონსულტაციების ინტენსიური პერიოდის შემდეგ შეიქმნა და აკმაყოფილებს უმაღლესი განათლების ვეტერინარული სექტორის კრიტერიუმების მოთხოვნებს.<br>• პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია.<br>• პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად.<br>• პროგრამა ხაზს უსვამს თანამედროვე სამეცნიერო დასკვნებს და ასევე უნარების განვითარებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o თვითშეფასების ანგარიში, სასწავლო კურსის სილაბუსები და პროგრამის ლიდერებთან, შიდა / გარე პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა დაადასტურა მათი ფართო გათვითცნობიერებულობა პროგრამის დიზაინსა და შედეგებში უნივერსიტეტის ფარგლებში და მის გარეთ. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>არც ერთი |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>• პროგრამა შედგება საკმაო რაოდენობის მცირე კურსებისაგან (2-5 ECT), რომელთაგანაც ბევრი ერთი და იგივე ან ანალოგიურ საგანს ეხება. იმდენად რამდენადაც, ყოველი კურსი ქმნის ადმინისტრაციული და შეფასების საქმიანობის ჯგუფს, პროგრამის შექმნის ამგვარი მიდგომა ძალიან მომთხოვნია სტუდენტების, აკადემიკოსების და ადმინისტრატორების მიმართ. ფაკულტეტმა უნდა განიხილოს კურსების შერწყმა, სადაცეს შეესაბამება პროგრამის შედეგების, როგორც ადმინისტრაციული ეფექტურობის გაზრდის სტრატეგიას და სტუდენტებს და თანამშრომლებს მეტი დრო მისცეს სხვა საქმიანობებისათვის. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>არც ერთი |

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

არ შეესაბამება

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- კურიკულუმის რუკა სრულად არ აღწერს სასწავლო კურსის შედეგების პროგრამის შედეგებთან შესაბამისობას, იმდენად, რამდენადაც არ არის დასრულებული.
- სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის კრედიტებს
- შედეგებში გამოყენებული დესკრიპტორები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სამაგისტრო დონეს
- ზოგიერთ კურსებში შეიმჩნევა გამჭვირვალობის ნაკლებობა სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებში, რის შედეგად გაურკვეველია მოხდა თუ არა სწავლის შედეგების შეფასება
- უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა უახლესი წიგნების და სხვა ლიტერატურის თარგმანში, რომლებიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o კურიკულუმის რუქა არ არის სრული რადგან არ მოიცვას სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს |
| **რეკომენდაციები:**<br><br>o კურსის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შედეგებს<br>o კურსის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს შეფასების მეთოდებს |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>o კურიკულუმის რუკა უნდა გაფართოვდეს, რათა მოიცვას სასწავლო კურსის სწავლის შედეგები |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o ხელმისაწვდომობა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>არ შეესაბამება |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო უნარ-ჩვევების განვითარებას, მათი კვლევით პროექტებში და ფართო სპექტრის პროფესიულ საქმიანობაში ჩართვით. ამის მიღწევა ხდება დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობით, ურთიერთგაგების მემორანდუმის თანხლებით. რაც მთავარია, ეს ურთიერთობები ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში და სასწავლო კურსის სილაბუსები
- ლექტორებთან, გარე ლექტორებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

არა

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არა

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ფართო სპექტრის ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმებამ, მათ შორის სამთავრობო სააგენტოებთან და ვეტერინარულ ფირმებთან, მნიშვნელოვნად გაზარდა ამ ახალი პროგრამის კურსდამთავრებულთა სწავლებისა და დასაქმების შესაძლებლობები.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

არა

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლის შედეგებს, მაგრამ ზოგიერთი სილაბუსი ნაკლებად გამჭვირვალეა, იმის შესახებ, თუ რამდენად უზრუნველყოფს შეფასება უნარების მიღწევას. სისტემა საკმაოდ მოქნილია ინდივიდუალური სტუდენტების საჭიროებების

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში და სასწავლო კურსის სილაბუსები
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

არ არის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

არ შეესაბამება

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის და სასწავლო კურსის დოკუმენტაცია ნათლად ადასტურებს, რომ კურსის შეფასების პროცედურები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.
- შეფასებების უმეტესობა წერილობითია და უნივერსიტეტის შეფასების ცენტრში ონლაინ სისტემის მეშვეობით ხორციელდება. შეფასების ცენტრი დახვეწილია და პრაქტიკულად გამორიცხავს კარნახს შეფასების შედეგები ვლინდება ელექტრონული სასწავლო პლატფორმა Moodle–ის გამოყენებით, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი შედეგებისა და ნებისმიერი უკუკავშირის ნახვა.
- პრაქტიკული შეფასებების მიღება ხდება პრაქტიკულ გარემოში, დეტალური ინფორმაცია შეფასების მოთხოვნების შესახებ არის მხოლოდ სასწავლო კურსის მასალებში გასაჩივრების პროცესი აღწერილია პროგრამის დოკუმენტაციაში.
- კურსისა და პროგრამის მენეჯმენტის ინფორმირებისათვის, არსებობს შეფასების შედეგების დახარისხების პოლიტიკა და პროცედურები, მაგრამ, რადგან პროგრამა ახალია, დღეისათვის არ არსებობს სათანადო მონაცემები.
- პრაქტიკული უნარ-ჩვევები ფასდება უწყვეტი შეფასების პრინციპით. არ არსებობს კურსის განმავლობაში მიღებული უნარ-ჩვევების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება. არსებობს რისკი, რომ ამგვარი მიდგომით, სტუდენტი ვერ შეინარჩუნებს მიღებული უნარ-ჩვევების ნაწილს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში და სასწავლო კურსის დოკუმენტაცია
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- უნივერსიტეტის შეფასების ცენტრში ვიზიტი

**რეკომენდაციები:**

- საკურსო დოკუმენტაცია სრულად უნდა აღწერდეს კომპეტენციის ქცევითი და ემოციური მხარეების გადაცემას და შეფასებას.
- პრაქტიკული უნარ-ჩვევები ფასდება უწყვეტი შეფასების პრინციპით. არ არსებობს კურსის განმავლობაში მიღებული უნარ-ჩვევების მოცულობის საერთო შემაჯამებელი შეფასება.

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>▪ ყოველი კურსის ბოლოს (სემესტრი) ყოვლისმომცველი პრაქტიკული შეფასება უნდა ჩაითვალოს, პროგრამის ფარგლებში საერთო უნარების განვითარების საზომ მეთოდად. ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) შეიძლება ზევრი სასწავლო კურსისათვის შესაფერის შეფასების ინსტრუმენტად ჩაითვალოს, რადგან ამგვარი მიდგომა კარგად არის დამტკიცებული და საერთაშორისოდ აღიარებულია. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o ონლაინ შეფასების უზრუნველყოფა და შეფასების ცენტრი. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>არ არის |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>• უნივერსიტეტი, დეკანის ოფისის მეშვეობით, მხარს უწერს საკუთარ სტუდენტებს.<br>• დეკანის ოფისი სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი მომსახურებისათვის სათანადოთაა აღჭურვილი.<br>• სტუდენტები რეგულარულად ურთიერთობენ ელ-ფოსტის და Moodle ფორუმების მეშვეობით (მეთოდი, რომელიც იძლევა საშუალებას საერთო ინტერესის ჯგუფებს უფრო მიზანმიმართული კომუნიკაცია მიაწოდოს).<br>• პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებული შესაძლებელობები (ურთიერთგაგების მემორანდუმების საშუალებით უცხოურ უნივერსიტეტებთან) |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o თვითშეფასების ანგარიში<br>o უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>არ არის |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არ არის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>არ არის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>არ შეესაბამება |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სამაგისტრო პროექტი (16 ECT) ხორციელდება მე-10 სემესტრში სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომს ზედამხედველობას უწევს კვალიფიციური სპეციალისტი შესაბამის სფეროში.
- სტუდენტებს შეუძლიათ თავისუფლად განავითარონ ნაშრომის თემა ჩართულობის და მოტივაციის სტიმულირებისათვის.
- არ არის გამჭვირვალე სპეციალური კომიტეტის მოვალეობა მიანიჭოს ქულები, რათა ხელი შეუწყოს საერთო შედეგს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის ლიდერებთან, შიდა / გარე აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სპეციალური კომიტეტის ქულების მინიჭების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია უნდა იყოს უფრო გასაგები, ქულების მინიჭების უფრო დეტალური აღწერით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- არ არის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

არ არის

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| • ვეტერინარული მედიცინის ფაკულტეტის პერსონალს, მოწვეულ პროფესორებთან/ლექტორებთან ერთად გააჩნია აუცილებელი კვალიფიკაცია ვეტერინარული სპეციალიზაციით და გამოცდილება, რათა შეძლონ სტუდენტთა დახმარება პროგრამის შედეგების მიღწევაში.<br>• პროგრამის დაკომპლექტება შიდა და გარე კადრებით, გვარწმუნებს, რომ კურსების სათანადო მიწოდება შესაძლებელია, ამასთანავე, უზრუნველყოფს კარგ კომუნიკაციას, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობას.<br>• პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის მენეჯმენტისათვის საჭირო უნარებს და გამოცდილებას და აქტიურად იყო ჩართული ამ ახალი პროგრამის შემუშავებაში.<br>• პროგრამებს აქვთ სათანადო მხარდაჭერა და ადმინისტრაციული პერსონალი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
| o თვითშეფასების ანგარიში<br>o ინტერვიუები შიდა და გარე პერსონალთან<br>o ინტერვიუები სტუდენტებთან |
| რეკომენდაციები:<br><br>არ არის |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არ არის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>o ფართო სპექტრის ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმება, მათ შორის სამთავრობო სააგენტოებთან და ვეტერინარულ ფირმებთან, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწავლებას. |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პერსონალის შეფასება სამუშაოს აღწერილობაზე დაყრდნობით ხდება რეგულარულად და მოიცავს ობიექტურ დესკრიპტორებს, მათ შორის კურსის შეფასებას.
- არსებობს განვითარების რეგულარული კურსები, მაგრამ მათთვის, ვისთანაც მონიტორინგის დროს გამოვლინდა რაიმე ხარვეზი, ინიშნება სავალდებულო ტრენინგი.
- უნივერსიტეტი აფინანსებს პიროვნული განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და შიდა/გარეშე პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

არ არის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

არ არის

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ბიბლიოთეკა არის შესანიშნავი დაწესებულება, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა სასწავლო სივრცე, სათანადო რაოდენობის ფართი და დაკომპლექტებულია ბიბლიოთეკის თანამშრომლებით.
- ბიბლიოთეკას აქვს ძირითადი სახელმძღვანელოების ფიზიკური ასლები, მათი პოვნა შესაძლებელია ბიბლიოთეკის ონლაინ სისტემის საშუალებით
- ბიბლიოთეკის ონლაინ სისტემაში არის ძალიან ფართო სპექტრის ძირითადი თანამედროვე დასახელებები და სხვა ლიტერატურა (მათგან ბევრი სპეცილურად იქნა ნათარგმნი ვეტერინარული სტუდენტებისათვის)
- ბიბლიოთეკის ონლაინ სისტემა ხელმისაწვდომია კამპუსის გარეთაც
- უნივერსიტეტი აღჭურვილია ადეკვატური ფართის ლაბორატორიებით
- კამპუსში არსებობს ვეტერინარული კლინიკური დაწესებულება, კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია და ეროვნული არტეფაქტების მუზეუმი

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში წიგნების და სხვა ლიტერატურის ონლაინ უზრუნველყოფის დემონსტრირებით
- ნათარგმნი მასალის ნიმუშების დათვალიერება
- სასწავლო ფართების დათვალიერება

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, მნიშვნელოვანი ინვესტიცია თანამედროვე ლიტერატურის ქართულად თარგმანში ($ 42,000 დღემდე)
- კლინიკური უნარ-ჩვევების სასწავლო ლაბორატორიის განვითარება
- ვეტერინარული კლინიკის მომსახურება, თუმცა მნიშვნელოვანია, დაწესებულებების და მომსახურების ხარისხის გამუდმებული კონტროლი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ისე, რომ კლინიკა საქართველოში ვეტერინარული მომსახურების სამაგალითო დაწესებულებად დარჩეს

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

არ არის

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- უნივერსიტეტის უფროსი ადმინისტრაციული პერსონალი მტკიცედ გამოხატავდა პროგრამისადმი მხარდაჭერას
- ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა გამოთქვეს დიდი კმაყოფილება უნივერსიტეტის მიერ ინფრასტრუქტურის განვითარებაში ინვესტირების განხორციელების გამო, რაც მხარს უჭერს პროგრამის ამბიციებს.
- პერსონალი მიესალმა უნივერსიტეტის მიერ იმ ლაბორატორიებსა და კლინიკებში ინვესტიციების განხორციელებას, სადაც ისინი მუშაობდნენ.
- სტუდენტებმა თვალყური ადევნეს მნიშვნელოვან ინვესტიციებს

| |
|---|
| ლაბორატორიებსა და კლინიკებში.<br>• მოწვეულმა პერსონალმა და დამსაქმებლებმა აღნიშნეს ინვესტიცია ლაბორატორიასა დაა კლინიკებში |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o თვითშეფასების ანგარიში<br>o ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან<br>o ინტერვიუები გარე პერსონალთან და დამსაქმებლებთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>არ არის |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არ არის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>არ არის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>არ არის |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რესურსებით უზრუნველყოფა | | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>უნივერსიტეტს გააჩნია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ოქმები, რომლებსაც ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი შემდეგნაირად არეგულირებს:<br>o ანონიმური კვლევები ტარდება ყოველ სემესტრში.<br>o კვლევები მოიცავს პერსონალს და სტუდენტებს.<br>o შედეგებს აცნობენ პროგრამის ლიდერებს.<br>o შეფასების შედეგების ანალიზს აცნობენ პროგრამის ლიდერებს.<br>o იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ხელმძღვანელობა არადამაკმაყოფილებელად ჩაითვლება, უნივერსიტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეშვეობით, შეუძლია ჩაერიოს.<br>ამ პროგრამის შედეგები გამოსადეგი იქნება ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o თვითშეფასების ანგარიში<br>o ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამების ლიდერებთან, პერსონალთან და სტუდენტებთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>არ არის |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არ არის |

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

არ არის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

არ არის

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტს გააჩნია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ოქმები, რომლებსაც ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი შემდეგნაირად არეგულირებს:

- ტარდება ანონიმური კვლევები. კვლევები მოიცავს გარე დაინტერესებულ პირებს.
- შედეგებს აცნობენ პროგრამის ლიდერებს.
- ამ პროგრამის შედეგების გასაუმჯობესებლად გამოყენების ინფრასტრუქტურა ადგილზეა და რეგულარულად ხდება მისი გამოყენება სხვა პროგრამებში, მაგრამ ჯერ კიდევ უნდა მოხდეს ამ პროგრამაში მისი გამოცდა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და გარე დაინტერესებულ პირებთან

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არ არის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

არ არის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

არ არის

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- უნივერსიტეტის იღებს ვალდებულებას განიხილოს სასწავლო კურსი, როგორც ეს აღწერილია 5.1-ში.
- პროგრამის გარე განხილვის ანგარიში ყოველ მესამე წელს მიეწოდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს .
- დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს შიდა მიმოხილვას, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემების გამოყენებით.
- ამ პროგრამის შედეგები გამოსადეგი იქნება ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, მაგრამ მათი გამოცდა ჯერ კიდევ საჭიროა.

| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
|---|
| o თვითშეფასების ანგარიში<br>o ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ლიდერებთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>არ არის |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არ არის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>არ არის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o არ არის |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | X | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სახელი, გვარი, ხელმოწერა

პროფესორი თომას ჯეიმს ანდერსონი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის სახელი, გვარი, ხელმოწერა

მარინე რამიშვილი



გიორგი ჭითაშვილი

